

# დამტკიცებულია თავისუფალი უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ 2010 წლის 29 აგვისტო N 01/08-2

## თავისუფალი უნივერსიტეტის მაგისტრატურა

### სამაგისტრო პროგრამით მისანიჭებელი ხარისხები

#### დიპლომი უმაღლესი განათლების შესახებ

შესაბამისი სამაგისტრო პროგრამის წარმატებით დასრულების საფუძველზე სტუდენტს ენიჭება მოცემული ჩამონათვალიდან ერთ-ერთი კვალიფიკაცია:

1. ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი;
2. ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი ოპერაციების მენეჯმენტის სპეციალობით;

სამაგისტრო პროგრამის სავალდებულო კრედიტების რაოდენობა განისაზღვრება შესაბამისი კურიკულუმით.

### სწავლის ხანგრძლივობა და აკადემიური კალენდარი

#### სწავლის ხანგრძლივობა

სწავლა გრძელდება, როგორც წესი, 2 წელი. ეს ორი წელი დაყოფილია 5 მოდულად. 4 მოდული საშუალოდ 20 კვირიანია, ხოლო ბოლო მოდული 8 კვირიანი.

#### დასვენება

დასვენების დღეებია საქართველოს შრომის კოდექსის მე-20 მუხლით განსაზღვრული უქმე დღეები.

სტუდენტი ისვენებს წელიწადში ორჯერ - ზამთარში (2 კვირა) და ზაფხულში (6 კვირა). დასვენების ვადები იცვლება კურიკულუმის ცვლილების შესაბამისად.

### სასწავლო პროგრამა (კურიკულუმი):

სამაგისტრო პროგრამები როგორც წესი შედგება მოდულებისგან, რომლებიც დალაგებულია თანმიმდევრულად შინაარსის მიხედვით, მარტივი საბაზო საგნებისგან შემდგარი პირველი მოდულიდან, რთული, სპეციალიზირებული საგნებისგან შემდგარი ბოლო მოდულამდე.

სასწავლო პროგრამის ცვლილება შესაძლებელია მოხდეს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ, რაც განთავსდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

### ECTS კრედიტების ტრანსფერი

1. სტუდენტის მიერ სხვა უმაღლეს სასწავლებელში მიღებული ECTS კრედიტები შესაძლებელია აღიარებული იქნეს თავისუფალი უნივერსიტეტის მიერ;
2. კრედიტის აღიარების თხოვნით სტუდენტმა უნდა მიმართოს სამაგისტრო პროგრამის ადმინისტრაციას;
3. სამაგისტრო პროგრამის ადმინისტრაციამ შესაძლებელია მოითხოვოს სტუდენტის მიერ კურსის ათვისების ფაქტობრივი დადასტურება, რისი ფორმაც შესაძლებელია იყოს გამოცდა, დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა და სხვა;

4. უნივერსიტეტი ავტომატურად აღიარებს იმ უმაღლესი სასწავლებლის კრედიტებს, რომელთანაც გააჩნია შესაბამისი ხელშეკრულება თანამშრომლობის შესახებ.

## **სასწავლო პროგრამის გაუქმება**

სასწავლო პროგრამის გაუქმების შემთხვევაში უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტის გადაყვანას უნივერსიტეტის სხვა შესაბამის სამაგისტრო პროგრამაზე.

## **დიპლომის მიღებისთვის აუცილებელი მოთხოვნები**

მაგისტრის დიპლომის მისაღებად სტუდენტმა უნდა დააგროვოს შესაბამისი კურიკულუმით განსაზღვრული კრედიტების აუცილებელი რაოდენობა.

სტუდენტი ვერ მიიღებს მაგისტრის დიპლომს, თუ:

- ა. სტუდენტს აქვს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის დავალიანება;

## **შეფასება და აკადემიური მოსწრების გამოთვლა**

### **შეფასება**

თავისუფალ უნივერსიტეტში სტუდენტის ცოდნის შეფასება ხდება შესაბამისი საგნის სილაბუსით განსაზღვრული მეთოდის საფუძველზე.

### **აკადემიური მოსწრების გამოთვლა**

სტუდენტის მიერ მიღებული ყველა შეფასება გადაეცემა დეკანატს, რაც გამოიყენება სტუდენტის საერთო მოსწრების აღრიცხვისათვის;

### **შეფასებათა გამოსწორება**

იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი მიიჩნევს, რომ შეფასებაში შეცდომაა დაშვებული, მან უნდა მიმართოს შესაბამის პროფესორს განმარტებისათვის. შეცდომის დადასტურების შემთხვევაში პროფესორი ასწორებს შეფასებას.

### **შეფასების სისტემა**

უნივერსიტეტში გამოიყენება საქართველოს კანონმდებლობით და შესაბამისი კურსის სილაბუსით განსაზღვრული შეფასების სისტემა.

## **უნივერსიტეტის მიერ გაცემული ფორმალური ცნობები**

### **ნიშნების ფურცელი**

ნებისმიერ სტუდენტს ან კურსდამთავრებულს შეუძლია მიიღოს სწავლის პერიოდში მის მიერ მიღებული შეფასებების ფურცელი.

### **ცნობა უნივერსიტეტში სწავლის შესახებ**

სტუდენტის საჭიროების შესაბამისად უნივერსიტეტი გასცემს დამოწმებულ ცნობას, რომელშიც იქნება ფაქტობრივი ინფორმაცია სტუდენტის შესახებ სწავლის პერიოდში. ცნობა გაიცემა სწავლის

ფაქტის დასადასტურებლად, მიღებული ნიშნების დასადასტურებლად, GPA დასადასტურებლად და სხვა.

## გამოცდა

შუალედური და ფინალური გამოცდები ტარდება პროფესორის მიერ დანიშნულ დროს, და განსაზღვრულია სილაბუსში.

გამოცდა ჩაბარებულად ჩაითვლება თუ სტუდენტი მიიღებს სულ მცირე შეფასებას – E (საკმარისი).

## გამოცდის განმეორებით ჩაბარება და FX და F შეფასების გამოსწორება

გამოცდაზე საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში სტუდენტს როგორც წესი მიეცემა მისი ერთხელ გადაბარების შესაძლებლობა.

სტუდენტს როგორც წესი ეძლევა შესაძლებლობა გადააბაროს საბოლოო გამოცდა შესაბამისი საგამოცდო სესიის დამთავრებიდან არანაკლებ 15 დღის შემდეგ ან/და მომდევნო სასწავლო სემესტრის დაწყებამდე არაუგვიანეს ერთი კვირით ადრე.

თუ საბოლოო გამოცდის ქულის ჩათვლით სტუდენტს აქვს შეფასება FX მას შეუძლია საგნის გადაბარება შემდეგი მოდულის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე.

თუ საბოლოო გამოცდაში მაქსიმალური შეფასების მიღება არ არის საკმარისი დადებითი შეფასების მისაღებად, სტუდენტს არ შეუძლია საბოლოო გამოცდაში მონაწილეობა.

თუ სტუდენტს მიღებული აქვს შეფასება FX მას შეუძლია ჩააბაროს განსხვავებული ფორმატის გამოცდა, რომელიც შესაძლებლობას მისცემს პროფესორს უფრო დეტალურად შეაფასოს საგნის ათვისების დონე.

თუ სტუდენტს გამოცდის განმეორების შედეგად მიღებული აქვს შეფასება FX, მას ავტომატურად ეწერება შეფასება F.

თუ სტუდენტი არ გამოცხადდება დასკვნით გამოცდაზე, მისი შედეგები შეფასდება „0“ ქულით.

თუ საგანი, რომელშიც სტუდენტს მიღებული აქვს F შეფასება არის რომელიმე მომდევნო საგნის პრერეკვიზიტი, მომდევნო საგნის ლექტორი იღებს გადაწყვეტილებას სტუდენტის საგანზე დაშვების შესახებ.

თუ საგანში სტუდენტს მიღებული აქვს F შეფასება და ეს საგანი სხვა საგნის პრერეკვიზიტია და მას არ აქვს შესაძლებლობა განმეორებით შეისწავლოს იგი, საკითხს განიხილავს და წყვეტს აკადემიური საბჭო.

თუ სტუდენტს ერთ საგანში მიღებული აქვს F შეფასება იგი საგანს განმეორებით გაივლის პირველივე შესაძლებლობისას.

თუ სტუდენტს F შეფასება მიღებული აქვს ორზე მეტჯერ, საკითხს განიხილავს და წყვეტს აკადემიური საბჭო.

## **სტუდენტის სტატუსის შეჩერება და შეწყვეტა**

უნივერსიტეტი უფლებამოსილია სტუდენტს შეუწყვიტოს სტუდენტის სტატუსი თუ სტუდენტს სტატუსი შეჩერებული ქონდა არადადამაკმაყოფილებელი აკადემიური მოსწრების გამო და იგი ახალი აკადემიური წლიდან მიიღებს კიდეც ერთ F შეფასებას.

უნივერსიტეტი უფლებამოსილია სტუდენტის მიერ სწავლის გადასახადის გადახდის ვადაგადაცილების გამო შეუჩეროს მას სტუდენტის სტატუსი.

უნივერსიტეტი უფლებამოსილია სტუდენტის ქცევის წესის დარღვევის სიმძიმის შესაბამისად სტუდენტს შეუჩეროს ან შეუწყვიტოს სტუდენტის სტატუსი.

## **დაფინანსება**

უნივერსიტეტი იტოვებს უფლებას, მომდევნო სასწავლო წლებში გაზარდოს სწავლის საფასური, მაგრამ არ უმეტეს წინა სასწავლო წლის საფასურის 12%-ისა. სწავლის საფასური წელიწადში შეიძლება გაიზარდოს 12%-ზე მეტით მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ წლიური ინფლაცია გადააჭარბებს 12%-ს.

## **სწავლის გადასახადის შეტანა**

სწავლის გადასახადი უნდა დაიფაროს დროულად ადმინისტრაციის მიერ დადგენილი გრაფიკის მიხედვით.

## **სწავლის გადასახადის უკან დაბრუნება**

უნივერსიტეტის სტუდენტს, სასწავლო წლის დაწყებიდან ორი კვირის ვადაში, სწავლის გაგრძელებაზე უარის თქმის შემთხვევაში, უკან დაუბრუნდება გადახდილი თანხის 100%.

## **დასკვნითი დებულებები**

1. წინამდებარე წესები მოქმედებს სტუდენტის სწავლის მთელი პერიოდის განმავლობაში;
2. წინამდებარე დოკუმენტის დანართები განიხილება ხელშეკრულების ნაწილად;
3. უნივერსიტეტის ადმინისტრაციას უფლება აქვს ცალმხრივი ნების გამოვლენით შეიტანოს დოკუმენტში ცვლილებები ან/და დამატებები, რომელიც არ შელახავს სტუდენტის უფლებებს და რომელიც არ შეცვლის მხარეთა შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობის არსს. სამაგისტრო პროგრამაში ცვლილებების და დამატებების შეტანის შესახებ სტუდენტი იქნება ინფორმირებული 10 სამუშაო დღის განმავლობაში.
4. ყოველი ასეთი ცვლილება ან/და დამატება ფორმდება წერილობითი ფორმით და არის ამ დოკუმენტის განუყოფელი ნაწილი.
5. სტუდენტი ამ დოკუმენტის ხელისმოწერით თანხმდება თავისუფალი უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამის პირობებს.